| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტი<br>მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **ტელეკომუნიკაცია** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ***ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში*** |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებში | **ტელეკომუნიკაციის** საგანმანათლებლო პროგრამა 240 კრედიტს: ძირითადი (major) - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებითი სასწავლო კურსები (minor) ან არჩევითი კურსები - 60 კრედიტი. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს:**<br>- საინჟინრო განათლების მქონე ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელსაც ექნება წინასწარ მოცემული მითითებების საფუძველზე კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევები, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>- ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, მყარი ბაზისური ცოდნით, რომელიც შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას, სფეროს ძირითადი თეორიებისა და პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებას, კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;<br>- ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, რომელიც შეძლებს სტანდარტული და არასტანდარტული მეთოდების გამო-ყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, ტელეკომუნიკაციის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას, განმარტებას და ანალიზს;<br>- ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, რომელიც შეძლებს იდეების, პრობლემების, მათი გადაჭრის გზების წერილობითი ანგარიშის მომზადებასა და ზეპირად გადმოცემას ქართულ და უცხო ენაზე, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>- ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა და სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელება უფრო მაღალი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით;<br>- ტელეკომუნიკაციის ბაკალავრი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ღირებულებების ფორმირების პროცესში და იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. |
| სწავლის შედეგები<br><br>**(ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)** | სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს<br>• ტელეკომუნიკაციის საბაზო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების ცოდნას;<br>• საინჟინრო პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მათემატიკური მეთოდების ცოდნას;<br>• ბუნებისმეტყველების საფუძვლების ცოდნა; |

| | |
|---|---|
| | • ტელეკომუნიკაციაში მენეჯმენტისა და დაპროექტების ელემენტების ცოდნა;<br><br>შეუძლია ტელეკომუნიკაციისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად<br><br>შეუძლია ტელეკომუნიკაციისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება<br><br>შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენაზე;<br><br>შეუძლია ტელეკომუნიკაციის სფეროში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება<br><br>შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა<br><br>მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად |
| **შეფასების წესი** | **სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:**<br>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.<br><br>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| **საკონტაქტო პირი** | ენვერ ხალვაში, ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის პროფესორი<br>მობილური: 574 71 60 61<br>ელ. ფოსტა: khalvashi@yahoo.com , envkhal@rambler.ru<br>მარინა ჩხარტიშვილი, ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტის პროფესორი<br>მობილური:599170180<br>ელ. ფოსტა: , marine.chkhartishvili@mail.ru |